ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №14

ქ. ახმეტა 19 მაისი, 2017 წელი

თავმჯდომარეობდა: თ.ყეინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბიუროს სხდომას ესწრებოდა: თ.წითელაური, რ.ბაღაკაშვილი, გ.ქიტესაშვილი, ც.გრძელიკანიშვილი ბ.ჭიჭიკლიშვილი, ზ.გარსევანიძე, მ.ალხანაშვილი,

სხდომა გაიხსნა 10[00] სათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე თამარ ყეინიშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - ზურაბ გარსევანიძე/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი, რომელსაც მხარი სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა.

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო საკითხი. აღნიშნა, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის ინიციატორი გახლავთ ქალბატონი თამარ ყეინიშვილი. საბჭოს წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს რვაზე ნაკლები. საბჭოს თავმჯდომარეობს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

თამარ ყეინიშვილმა ისაუბრა გენდერული საბჭოს შექმნის საჭიროებაზე და მის ამოცანებზე. აღნიშნა, რომ საბჭოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების სრულყოფილად შესწავლისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით შეიქმნება თემატური სამუშაო ჯგუფები, მოეწყობა შეხვედრები შესაბამის დაინტერესებულ პირებთან და უწყებებთან.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

დღის წესრიგის საკითხი: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ შეტანილი იქნა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა ბიუროს დამსწრე წევრებს: ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

სხვა წინადადებები და შენიშვნები არ ყოფილა.

ბიუროს სხდომა დაიხურა 10^{30} საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: თამარ ყეინიშვილი